პროლოგი

ნეტარ მამა პაისის ჩემს ცხოვრებაში მხოლოდ ერთხელ შევხვდი, მის გარდაცვალებამდე მცირე ხნით ადრე. მისი ცხოვრებისა და სწავლების შესახებ წიგნებიდან გამეგო. კითხვისას ვხედავდი, თუ როგორ უყვარდა და გული შესტკიოდა ბავშვებზე. „ჩემი სატკივარი საფრთხეში მყოფი ბავშვებია. ვლოცულობ და ვევედრები, რომ უფალმა ნათელი მიმადლოს მათ" – ამბობდა იგი.

მტკიცედ სწამდა, რომ ცხოვრების ღრმა აზრის ჩაწვდომისათვის ადამიანს დახმარება ბავშვობიდან სჭირდება, რათა უფალთან ერთობა და ნამდვილი სიხარული ჰქონდეს. ამ ერთობას ღვთიური მადლი მოაქვს. ღვთის მადლის საფარველის ქვეშ ადამიანისთვის საშიში აღარაფერია. თუმცა უფალთან ერთობისთვის და იმისთვისაც, რომ ლოცვას ძალა ჰქონდეს, ჯერ ჩვენი დიდი ეგოიზმისგან – „მე"-სგან უნდა გავთავისუფლდეთ. მამა პაისი ამბობდა, რომ ეგოიზმი ადამიანის მტანჯველია, ხოლო სიმდაბლე ნამდვილი სიბრძნეა. ეგოიზმის მთავარსარდალი ეშმაკია. ყველაზე ეფექტური წამალი კი კეთილი გულისსიტყვაა. არცერთი სხვა ღვაწლი არ გვეხმარება ისე, როგორც ერთი კეთილი გულისსიტყვა.

ეს ზღაპარი ბავშვების სიყვარულით აღსავსემ დავწერე. შევეცადე გამემარტივებინა ის, რაც ხანდახან რთულად გვეჩვენება. თუმცა ჩვენც, უფროსებმაც, ზღაპრის კითხვისას, ღვთის მადლით, იქნებ საკუთარი თავის დახმარება შევძლოთ და შემდეგ შვილებსა და შვილიშვილებს დავეხმაროთ. რადგან ბავშვები, როგორც მამა პაისი ამბობდა, ჩაუწერელი კასეტებივით არიან, რასაც ჩვენთან, უფროსებთან ხედავენ, მასვე იწერენ.

ზღაპრის გმირებში განსახიერებული და ხორცშესხმულია ადამიანების სულის მდგომარეობა (ჯიუტა სიჯიუტის განსახიერებაა, მშვიდია – სულის სიმშვიდისა, გულმადალა – ამპარტავნებისა და ა.შ.).

მინდა გულითადი მადლობა გადავუხადო ყველას, ვინც მამხნევებდა, რომ წიგნის გამოცემა გადამეწყვიტა და მათაც, ვინც წიგნზე დიდი გულმოდგინებით იმუშავა. ეს ადამიანები მხოლოდ ბავშვების სიყვარულის გამო კი არა, მამა პაისის ხსოვნის პატივსაცემადაც გაისარჯნენ.

ამ მცირე პროლოგს დავასრულებ მამა პაისის სიტყვებით: „შვილებო, საქმე ძალიან მარტივადაა. მას ჩვენ ვართულებთ. რამდენადაც შევძლებთ, ვაკეთოთ ის, რაც რთულია ეშმაკისთვის და იოლია ადამიანისთვის. სიყვარული და სიმდაბლე ცხოვნების უიოლესი გზაა. ამიტომ მუდამ კეთილ გულისსიტყვას მოუხმეთ, სული რომ დაიცვათ".

მისი ლოცვა შეგვეწიოს.

ამინ.

25 მარტი 2001.

ხარება ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისა.

მირსინე ვინგოპულო.